№ 155

ხუთშაბათი, 31 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 155

ხუთშაბათი, 31 ივლისი 1897 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) სავაჭრო გეოგრაფია, 2) სავაჭრო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) სავაჭრო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—10)

## მთავრობის განკარგულებანი.

გამწესებულ იქმნა ეჩმიაძინის მაზრის მეოთხე ნაწილის პოლიციის ბოქაული ბალოევი, ქალაქ ერევნის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებლად.

ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა—თერგის ოლქის უფროსის საგანგებო საქმეთა უმცროსს მოხელეს მამაცაშვილს.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, პირველ აგვისტოს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი სწირავს ტფილისის სამხედრო საკრებულო ეკკლესიაში და წირვის შემდეგ მთელი სამღვდელოება ქალაქისა წავა ამ ეკკლესიიდგან მტკვარზედ, სადაც კიდეც მომზადებულია ალაგი წყლის საკურთხებლად.

*** ბუხარის ემირი 1-ლს აგვისტოს, დილის 8 საათზედ, საგანგებო მატარებლით ბაქოს წავა და იქიდგან თავის ქვეყანაში.

*** 29 ივლისს მისი უმაღლესობა ბუხარის ემირი მირ-სეიდ-მირ-აბდულხან სადარბაზოდ იყო ტფილისის გუბერნატორ თ. ა. ბიკოვთან, შემდეგ ეტლით ქალაქში გაისეირნა. ბუხარის ემირს, ერთის მინისტრის გარდა თან ახლავან პოლკოვნიკი ა. ა. კუზნეცოვი და თარჯიმანი კოლ. სოვ. ზემან ბეგი შიხალიბეგი, მაგრამ მისი უმაღლესობა თარჯიმანს ძვირად მიჰმართავს ხოლმე, რადგანაც თვითონ იმდენად კარგად შეუსწავლია რუსული, რომ თავისუფლად შეუძლიან ლაპარაკი.

*** ტფილისში ჩამოვიდა ყაზანიდგან ყაზანის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი ნ. ი. [illegible]

*** საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირისათვის უწმიდესს სინოდს უცნობებია, რომ საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლების შესანახად მთავრობას 4,800 მან. კრედიტი გაუხსნია. ეს ფული საქართველოს საეპარქიო საბჭოს გადაეცემა.

*** პოლიცია ამ ჟამად ქარვასლაში და ბაზასხანაში მოვაჭრეთ ხელ წერილებს ართმევს, რომლის ძალით ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მუშტარი ძალად არ მეიწვიონ მაღაზიასა, ან დუქანში და საეროდ არავითარი შეურაცხება არავის მიაყენონ ხოლმე.

*** სამეურნეო სამინისტროს სამთო დეპარტამენტს 12 ათასი მან. გადაუდვია ხუთს მიწის მზომელთა სასწავლებელში 40 სტიპენდიის დასაარსებლად. თითოეულის სტიპენდიისათვის 300 მან. გადადებული. ამათგან 15 სტიპენდია ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის არის დანიშნული. ვინც ხსენებულს სტიპენდიას მიიღებს, ვალდებული იქმნება ორი წელიწადი სამეურნეო სამინისტროს უწყებაში იმსახუროს.

*** როგორც მთიულეთიდგან იწერებიან, მეფის-კარისა, ხევსურეთისა და მილიონას მთებში და ერთობ მთიულეთში ამ ჟამად საშინ[illegible] [illegible]ული თურქული ცხვრისა. ადგილობრივ მცხოვრებთ, ისედაც მრავალ-გზის შეწუხებულთ, არ იციან თავს როგორ უშველონ.

უთუოდ საჭიროა, მთავრობამ მალე მიაქციოს ყურადღება და ბეითალი გაუგზავნოს.

*** კავკასიის სამკურნალო წყლებზედ ამ წელს 885 ავადმყოფით მეტია მისული შედარებით შარშანდელთან. სულ 7.678 ავადმყოფი სწამლობს თავსა.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობას განზრახული აქვს კავკასიის საერობო დარაჯთა რიცხვი გაამრავლოს და ამის შესახებ მთელის გუბერნიის მაზრის უფროსებს მიჰმართეს, ეცნობებინათ, თუ ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით რამდენი დარაჯი უნდა მიემატოს და რამდენი ახალი სადარაჯო სადგური იქმნას გამართული მაზრის სხვა-და-სხვა ადგილას. ამ საგნის შესახებ ტფილისის მაზრის უფროსმა უკვე კარგა ხანია თავისი პასუხი წარუდგინა საგუბერნიო მთავრობას. ახლა გორისა და სიღნაღის მაზრის უფროსებიც ატყობინებენ თავისს აზრს ამ საგნის შესახებ. გორის მაზრის უფროსის მოხსენებით, 31-დგან 80 მდე უნდა იქმნას დარაჯთა რიცხვი მომატებული და სამი ურიადნიკის ახალი თანამდებობა იქმნას დაარსებული. ახალი სადარაჯო სადგურები შემდეგს ადგილებში უნდა გაიმართოს: ტყვიავსა, ბორჯომსა, [illegible] ჯ[illegible]თსა, ქე[illegible]ათხევსა, ატოცისა და ჯავის ხეობასა, სოფ. ბელოთსა, კულბითსა და საკორინთლოში, სულ 8 ახალი სადარაჯო სადგური.

სიღნაღის მაზრის უფროსი 8 ახალის სადარაჯო სადგურის დაარსებასა თხოულობს და დარაჯთა რიცხვის მომატებას 41-დგან 107-მდე.

*** 22 ივლისს დიღმის საწყალეოლქში ამორჩეულ იქმნენ 1-ლს საწყალე ნაწილში: საოლქო მამასახლისად, ანუ მირაბად—აზნ. ს. მ. გულისაშვილი, იმის კანდიდატად—ლ. მზარეულიშვილი; ამორჩეულთა საბჭოს წევრებად დანიშნულ იქმნენ:

## ფელეტონი

### ქაიხოსრო

(მოთხრობა ვ. ველიჩკოსი).

შავის ზღვის პირას მდებარე ერთი პატარა ქალაქის მცხოვრებლები გამოიშალნენ ზღვის კიდეზედ. ცხარე მზიანის დღის შემდეგ ყველას მოჰნატრებოდა შესუნთქვა ზღვის ნიავისა, რომელიც ამ საღამოს ჩვეულებრივზედ მომეტებულად იყო გრილი და სასიამოვნო, რადგან დასავლეთის ქარიც ამოსისინებდა. თუმცა ყველანი გამოეპატიჟნა ბუნებას, მაგრამ თანაბრად არ შეჰხაროდა ყველა. ჭეშმარიტ მგოსნებად გადაქცეულიყვნენ მხოლოდ უბრალო ხალხი, ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელნიც გამოწყობილიყვნენ ჩოხებში და ზედ განუშორებელი ქამარ-ხანჯლები ერტყათ. დაფიქრებულები გაიცქირებოდნენ შორს ზღვის სივრცეში. ისინიც ნაწილს შეადგენდნენ ამ ბუნებისას და ესმოდათ თავიანთი ბუნების ხმა, როგორც სამშობლოსი.

ბავშვები ზღვის პირას ახლო ისხდნენ, კენჭაობდნენ და მიუშვერდნენ ხოლმე სხეულს ხან-დასმით გამოქანებულს ზღვის ტალღას. ერთმა ამ ტალღათაგანმა აგერ სრულიად ამოიდო ქვეშ ნახევრად ტიტველ-შიშველი ბავშვი. ახლო მოსეირე ხალხმა შიშით ყვირილი დაიწყო, მაგრამ ტალღამ გადირბინა ისევ და მხიარული ბავშვი ზღვის წუწწკლებს იბერტყავდა, როგორც წუმპეში ჩავარდნილი ლეკვი, და სიცილ-კასკასით გარბოდა შორს ამ საშიშის ადგილიდგან.

მცირე ინტელიგენტთა წრე, რომელიც თითქოს ბუნების ძახილზედ მოსულიყო აქა, ბუნების ფიქრში სულ არ იყო: ყოველ-დღიურ ცხოვრების სხვა-და-სხვა საგანი, კერძო ინტერესები და ან საზოგადო საქმე და ვითარება უფრო იზიდავდა სალაპარაკოდ ამ მცირე „განათლებულთა“ გუნდის ყურადღებას. ამათ შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა შუათანა ხნიერ ადმირალს, ნავთ-სადგურის უფროსს, და შემდეგ იმისს მეუღლეს, ცოლის დას, მოსკოველ ვაჭარს, ჩოხაში გამოწყობილს და იქაურსავე თავადიშვილს, რომელიც გამოკანკლულიყო ახალმოდურ ევროპიულ ტანისამოსში; იქავე იყო მოხუცებული კაპიტანი და ბოლოს ორი ახალგაზდა, რომელნიც არც სახითა და არც ჩაცმა დახურვით არა ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ იმათის სულისა და გულის ერთმანეთის მსგავსება საკვირველი იყო. ერთი მათგანი, ქერა და ცოტა ელამიც, კორესპონდენტი იყო გაზეთისა, მეორე—შავგრემანი-კი, ადგილობრივ ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი გახლდათ.

მოსაუბრეთ ერთ წამს ზღვის შესახებ გააბეს ლაპარაკი; ადმირალმა ზიზღით მოიხსენა შავი ზღვა.

— რა ზღვა არის ეგა?.. განა ზღვა არის?.. რაღაც წუმპეა და სხვა არაფერი, ნამდვილი ფრთონაც-კი არ იცის!..

— უკაცრავად, როგორ არ იცის, უთხრა ვაჭარმა: აი დილას ოდესიდგან მოვედით და ისე შევწუხდი გზაში, ისე დავიტაჯე, რომ კინაღამ გულ-მუცელი...

ბრალმდებელის ამხანაგმა სახელოს დასწია და შეაჩერა.

— ეგ არაფერი... აი ოკეანი—სულ სხვაა, ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი ის დასაქცევი, სტიქიონი გინდა და მართლა რომ ის არის! .

— კოლია, ნუ იცი წარა-მარად ზღვაზედ სათქმელ სიტყვათა წამოყაჭვა!..

— საქმე გამოგწყვეტია შენცა, დედაკაცო!..

— რა ზღვა გნებავთ, ჩაურთო კორესპონდენტმა: ერთობ ეს მხარე სასიამოვნო არ არის: დღე პაპანებაა, ღამე-კი ცივა, ციება ხშირია და ხალხიც რა ხალხია; რაღაც საკვირველი არსებანი არიან, რაღაც ნახევარ ადამიანები და სხვა არაფერი.

— დიახ, ბატონებო, არავითარი დედა-აზრნი, პრინციპები, არ აქვავიათ—დაუმატა ბრალმდებელის ამხანაგმა.. სცდილობ, იტანჯები, მაგრამ მაგათგან მართალს ვერას გაიგებ; სულ ფიცის გამტეხნი, ცრუ მორწმუნენი არიან. დამერწმუნეთ, მე პირველად იქ ვიყავ, სადაც ნამდვილი ურიათა სამეფოა—ვისლას მხარეში და იქ უფრო არხეინად ვიყავი; ე რაღაცა სულელურს ხანჯლებს ხომ ველარა ჰხედავდა ჩემი თვალები...

— ნუ თუ გეშინიანთ? შეეკითხა სწრაფად თავადიშვილი.

— სულაც არ მეშინიან, მაგრამ ხომ იცით, რომ სასიამოვნო არ არის. სხვა რომ არა იყოს-რა, მშვენიერ ქმნილებათაც ველარ გაუარშიყდება კაცი. უკაცრავად, ანნა პეტროვნა!..—ადმირალის ცოლს ღიმმა გადაჰკრა ტუჩებზედ.

— როგორცა გსურდეთ, ჩემი ქმარი იაპონიაში იყო და იმდენი ისეთი რამ მიამბო, რომ ეგ რა არის.

— დიახ, სწორედ რომ სასიამოვნო და ერთობ საამური ქვეყანაა,—გაიღიმა ადმირალმა.

— მერე რა კარგია-და, თურმე სამის თვითაც შესაძლო ყოფილა ცოლის შერთვა! რა ბედნიერი ქორწინება სცოდნიათ!..

— ქალები? საინტერესონი არიან? იკითხა ბრალმდებლის ამხანაგმა, რომელსაც, ვითარცა კეთილს იურისტს, ახსოვდა, რომ მეშვიდე მცნება არ იყო შეტანილი „სასჯელთა დებულებაში“.

— ღმერთმანი, ახირებული ხალხი ხართ, ჩემს მეუღლესთან გიამბოთ, იაპონიის ქალები საინტერესონი არიან თუ არა!.. თქვენ აქაურებს მოუარეთ, ეგეც გეყოფათ.

— რაღაც თავზედ-ჩამომტირალნი არიან აქაურები, ყველანი ერთიერთმანეთსა ჰგვანან და ვერც ვერაფერის შესახებ ჩამოუგდებ ლაპარაკს. საზოგადოდ-კი ერთობ ადგილობრივი მცხოვრებლები, ქალია თუ კაცი, საშინელი რამ ხალხია, არც განვითარებულები არიან და იმათს ერთს სიტყვასაც ვერ დაიჯერებს ადამიანი. უკაცრავად, თავადო!.. თითქო რაღაც მაავგონდაო და ბოდიში მოსთხოვა „განათლებულს“ აქაურს.

— არაფერსო ბატონო, მე ხანჯალი არ მარტყავს და მეც არავისი არც არა მწამს რა და არც არა მჯერა რა, შავი ზღვის პირიდგან დაწყებული, სურამამდე.

კორესპონდენტი ისე ეძგერა ამ ფრაზას,—როგორც ნადავლს რასმე.

— აქ დახე-და; აბა, თქვენ ხომ აქაური ბძანდებით!..

— დიახ, ბატონო, მაგრამ რუსეთში აღვიზარდე და არა იმ სასწავლებელში, სადაც თქვენ იყავით! თავადმა უსიამოვნოდ მიიხედა გვერდზედ.

1-ლს ნაწილში ი. თურქიაშვილი, მე-2-ში გ. გილაური, მე-3-ში ი. სუთიაშვილი. არჩევნებს დაესწრნენ: ინჟენერი-ჰიდრავლიკოსი ბ-ნი ზავრიევი და მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კოტოვიჩი.

*** 27 ივლისს ქსნის საწყალე ოლქში ინჟენერის ჰიდრავლიკოსის ბ-ნის ზავრიევისა და დუშეთის მაზრის უფროსის თანადასწრებით 1-ლის საწყალე ნაწილისათვის ამორჩეულ იქმნენ: მირაბად—თავ. ბ. ი. რატიშვილი, მის კანდიდატად თავ. გ. დ. ერისთავი; ამორჩეულთა საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ: 1-ლს ნაწილში ა. ჰ. ვინოგრადოვი, მე-2-ში ს. ლაშაური და მე-3-ში ჰ. წიწლიაშვილი.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს აზრადა აქვს გააფართოვოს ბათუმის მახლობლად ჩაქვაში ჩაის პლანტაცია.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“ სწერს, განზრახვა თურმე აქვთ ყვარელის ორ-კლასიან სასოფლო სასწავლებელში სახელოსნო კლასები დააარსონ.

*** 28 ივლისს, ღამის 11—12 საათზედ, კირკას ქუჩაზედ მელანია წილოსანის სადგომში ვიღაც ქურდები შეპარულან ფანჯ-[illegible] შემდეგი ოქროსა და ბრილიან-[illegible] გულის-ქინძისთავი, ღირებული 700 მან. ბრილიანტის საყურეები—300 მან., ბრილიანტის სამაჯური—400 მან, ზურმუხტის სამაჯური—100 მან. და ოქროს სამაჯური—100 მან. გამოძიებამ გამოაშკარავა, რომ ქურდობა წილოსნის მოსამსახურედ ნამყოფს დუშეთის მაზრის სოფ. ცხიპურის მცხოვრებელს ნიკო ახალაშვილს ჩაუდენია.

*** 28 ივლისს, საღამოს 8 საათზედ, რაჭის მაზრის მცხოვრების მიხ. დადუაძეს პურის საცხობიდგან, რომელიც ველიამინის ქუჩაზედ იმყოფება თუმანოვის სახლში, ვიღასაც 5 მ.ნ. ფული გაუტანია. ფულის მოპარვის დროს დუქანში შესულა დადუაძეს მუშა ნესტორ ლობანიძე და ქურდი კიდევაც დაუჭერია, მაგრამ ხელიდგან გასხლტომია და მიმალულა, დამნაშავე მალე შეიპყრეს. იგი ქუთაისის გუბ. მცხოვრები აზნ. სარდიონ გამყრელიძე აღმოჩნდა. გამყრელიძე ქურდობაში არ გამოტყდა, მაგრამ დადუაძეს 5 მან. დაუბრუნა.

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ვეჯინი,** (სიღნაღის მაზრა). ჩვენი სოფელი გაშენებულია მაღლობს ადგილზედ, რომელსაც ხევები ჰყოფს სამს ქედად და სხვა სოფლებზედ უფრო ნათლად დასცქერის წინ გაჭიმულს, ათასფერად აყვავებულს ალაზნის ველს. ვისაც კი უნახავს და დაუთვალიერებია ჩვენი სოფელი, დამერწმუნება, რომ მდებარეობითა და ჯანმრთელობით არ არის ნაკლები მთელს წინამხრის სოფლებზე, განათლებითაც არ უნდა იყოს ბევრი დაჩაგრული. აქ დიდიხანია რაც არსებობს სასოფლო-სამინისტრო სასწავლებელი, რომლიდგანაც არა ნაკლები სარგებლობა უნდა ჰქონდეს სოფელს. გარდა ამისა, ვეჯინი სამ სამრევლოდ არის განაწილებული, ასე რომ ერთს სოფელს ჰყავს სამი მღვდელი, რომელთაც არა ნაკლები გავლენა უნდა ჰქონდეთ ხალხზედ.

სამწუხაროდ, სულ სხვა შედეგს ვხედავთ. ქურდობითა და ტაციაობით ჩვენი სოფელი გურჯაანს მხარში ამო-[illegible] თუმცა გულ-მოდგინებით ჰმოქმედობს მაზრის უფროსის [illegible] მოსასპობად. რაც შეეხება ავადმყოფობას, უნდა მოგახსენოთ, რომ სახლი არ გადარჩენია უნახავი ჩვენის ცოდვით სავსე ციებ-ცხელებას. ეს სრული თვე იქნება, რომ ჩვენთვის ცამ ცვარი ცრემლი არ გაიმეტა, რის გამოც ძალიან ცხელი ზაფხული დაგვიდგა და ჩვენის გლეხ-კაცობის მუშაობის დროც ეხლა არის (კალოობა). დღითი დღე სდგას საწყალი გლეხი-კაცი ამ გაპაპანაქებულის მზის ქვეშ და ებრძვის დედა-მიწას, ეგები როგორმე მოაგროვოს წლის სარჩო. მერე მოქანცულ მოწყვეტილი და ნაოფლი მიწვება, სადაც მოუხდება, და მიიძინებს. ნაოფლს შესცივა და, ანთებიდგან თუ გადარჩა, ციებ-ცხელება ხომ არ დასტოვებს უნახავს. მომეტებულად კიდ უფრო ბავშვები ხდებიან.

ეს ციებ-ცხელება ხომ ყველას მოეხსენება, მაგრამ აი მაგარიც რა არის. გსთქვათ ბავშვი გაცხელდა ან სიცხისაგან გული წაუვიდა, მაშინათვე იმოდებს ცივ წყალს დაასხამენ საცოდავს ბავშვს, რომ სიცივისაგან მაგმაგს დააწყებინებს. თუნდაც ესეც აგრეა, მაგრამ განა იმის შემდეგ მაინც ზრუნავენ წამლისათვის! შენც არ მომიკვდე... წავა ჯერ მკითხავთან (აქამდის ეს ცრუ მორწმუნეობა არ იქმნა, არ ამოიფხვრა), მკითხავიც მიადგავებს ან წმ. გიორგის, ან წმ. თევდორეს, ღვთაებას და ვინ იცის კიდევ ვის მოგვალეს არ გაჰხდის. თუ არადა, ავის ანგელოზის დაკრული გამოვა ჩვენის სოფლის მატყუარა მკითხავის მეცნიერობით (აქ, ვეჯინში, ორი კაცი შეიშალა ჭკუიდგან ამ ცოტა ხანში. პირველი დასანიშნი ბიჭია და სამი თვე მეტი იქნება, რაც ამ სენით იტანჯება საცოდავი. მეორე ხანში შესულია. ერთს დღეს კალო ელეწნა, საღამოთი შინ დაბრუნებულიყო და კალოზე არ დარჩენილიყო იმ ღამეს, თუმცა კი მომეტებული ნაწილი ზაფხულობით კალოებზედ სცხოვრობს. მოსვლა იმისი შინ და ჭკუიდამ შეშლა ერთი ყოფილიყო. მესამე თუ მეორე დღეს-კი კაცი ისევ საღ გონებაზედ ამდგარიყო. ეჭვი არ არის, [illegible] თუმცა ამას ვერ დააჯერებთ ჩვენს ხალხს და მკითხავისაგან ნათქვამს სიტყვას უჯერებენ, ვითომც რომ ხატისაგან გიჟდებოდეს ადამიანი). ჩვენმა გლეხობამაც იცის, რომ ანგელოზისაგან დაკრულს ლოცვა უნდა და მიჰყავს ბავშვი მღვდელთან, მღვდელი, რასაკვირველია, ნამდვილს მიზეზს ეუბნება ბავშვის ავადმყოფობისას და ასწავლის კიდეც, ვის და სად უნდა მიჰმართოს წამლისათვის; თუ არადა, კიდევ კარგი ღვთის წყალობაა, რომ აქ მღვდელი თითონაც კარგს დახმარებას აძლევს ხოლმე ავადმყოფებს გაზრდების დროს. ბავშვის პატრონი მაინც არ დაჰყაბულდება ამას, უნდა მიიყვანოს ვინმე დედაკაცთან, რომელმაც რაღაც ლოცვა იცისო, და შეალოცვინოს. საცოდავ ბავშვის კითილ დღეობა ღმერთზეა მინდობილი. კიდევ კარგი, რომ მომავალს მარიამობის თვეში სამაზრო მკურნალი ველის ციხიდგან ბაკურციხეს გადმოდის, (ჩვენი სოფლიდგან სულ 3—4 ვერსი მძივს იქნება) ეგების მაშინ მაინც გამოფხიზლდნენ ჩვენი მამინარა ქართველები და მკურნალის დახმარებას მიეჩვივნენ.

მოსავალი აქ შარშანდელზედ ნაკლებია, გარდასახადს-კი, თუ არ უმატებენ ჩვენს გლეხებს, არ აკლებენ. ვენახები წლეს უჯანსაღნელს მდგომარეობაშია ჩავარდნილი სეტყვისაგან, ბევრი სულ არ მოდის; სიმინდები ალაზნის გაღმა უფრო საქმეა, კიდრე გამოღმა, სადაც უწვიმობა, ცოტა არ არის, აწუხებს

კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას მიექცია ყურადღება ჩვენის სოფლის მდგომარეობისათვის და რაიმე დახმარება გაეწია დიდის ხნის მოუსავლობით უფრო მომეტებულად შეწუხებულ სოფლისათვის.

ვეჯინელი

## წერილი ქიზიყიდგან.

ამ ერთის წლის წინად „ივერია“-ში ვსწერდი: თუმცა ქიზიყში სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი მიწები ყველა წოდებათა საზოგადო [illegible] რამ არის ისეთი ადგილ-მამულები, მაგალითად, ვენახები, ბაღჩა კარ-მიდამო და სხვ., რომელნიც იმავ წოდებათა კერძო საკუთრებას შეადგენს უხსოვარ დროიდგან. მართლაც ყველანი, ვინც კი ქიზიყის მიწათ-მფლობების იმედით ვითარებას დაჰკვირვებია, ამასვე აღიარებენ, მაგრამ ხაზინის წარმომადგენელი სულ წინააღმდეგის აზრისაა ჩვენებურ მამულების შესახებ, ე. ი. ქიზიყში საკუთარი მიწა-მამული არავის არა აქვსო.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენს მიწა-წყალს საკუთრების უფლებით ვმფლობელობდით არა ერთი ათეული წელიწადი, ისიც საკმარისია, რომ აქამდის ამ მამულების გაყიდვა, გაქირავება, იჯარით გაცემა, გაცვლა და სხვ. შეგვეძლო, მაგრამ მოდავე არავინ გამოგვჩენია, ჩვენს ამ უფლებათ უარს არავინ არა ჰყოფდა. არა თუ მოცილე-მოდავე არა გვყავდა, აქამდე თვით „ნოტარიუსნიც“-კი ამტკიცებდნენ ამ ჩვენს საკუთრების გაყიდვის უფლებას. სომხებს რამდენი მამულები აქვთ შეძენილი ამ გზით ჩვენში. ამაზედ მეტი დამტკიცება-ღა გნებავთ. არა, ეს საკმარისი არ არის, საბუთები წარმოადგინეთ, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს, რაოდენობა და მიჯნა საზღვრები თქვენის მამულებისაო, მაგრამ ჩვენი მეფენი საჭიროდ არა ჰრაცხდნენ სიგელ-საბუთნი ებოძებინათ ვისთვისმე იმ სოფელსა და სოფლის ახლო-მახლო მდებარე „საბლის მიწების“ შესახებ, რომელნიც მათ მიერვე კერძო კაცთა კუთვნილებად იყო აღიარებული. აზატობისა და თარხნობის სიგელები-კი ბევრს ქიზიყელს „წესისაებრ ნამსახურთ და ერთგულთ“ ებოძებოდათ ხოლმე. ხელთა მაქვს ორი ამგვარი თარხნობის სიგელი; ნებას მივცემ ჩემს თავს ამ სიგელთაგან ზოგიერთი ადგილ-სიტყვები მოვიყვანო და მივმართო ჩვენის ერის ისტორიის დახელოვნებით მცოდნეთ, გაზეთის საშუალებით გამოსთქვან,—ჰქონდათ თუ არა „თარხანთ“, საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ ქიზიყში საკუთრების უფლება იმ მამულებზედ, რომელსაც ისინი ჰფლობდნენ.

პირველი სიგელი *) შემდეგის სიტყვებით იწყება: „ქ. წყალობითა. ღვთისათა. ჩვენ. იესიან. დავითიან. სოლომონიან. პანკრატოვანმან. ძე-

*) დაწერილია შავის მელნით, გრძელ, თეთრ, სქელს ქაღალდზედ და ყველა სიტყვას წერტილები უზის.

მოხუცებული კაპიტანი, რომელიც თავისთვის იყო და სიგარას ეწეოდა აქამდე, ახლა ლაპარაკში ჩაერია:

— ნეტა რა ჩვეულებად შემოიღეს ამ დროში უცხო ტომის ხალხის ლანძღვა! ჩვენ-კი კარგები ვართ? მაგათ ჩვენთვის სისხლი დაანთხიეს და სამაგიეროდ რა მივეცით? უნივერსიტეტში სწავლობენ, ჩამოდიან სახლში და ადგილებს-კი არავინ აძლევს, რა არის აქაურები ხართო. ოხრობაა და ტიელობა, სხვა არაფერი! მაგათ სხვანაირად უნდა მოკიდება და არა ჩვენის ნახევრად გაევროპიელებულის ადლით ზომვა.

— არც ერთის ადლით არ გაიზომებიან, უბედურებაც ეგ არის, სიტყვა შეუბრუნა ბრალმდებლის ამხანაგმა. პრინციპი, არაფერი პრინციპი მაგათში არ მოიძებნება, გაიგეთ და შეიტყეთ!..

— რა პრინციპიო, რის პრინციპიო!.. იქნება თქვენ ძალიან საქებურ პრინციპად მიგაჩნდეთ უცხო კაცების ცოლებთან გაარშიყება, და ან კარგია განა, ბრალი დასდო, მამის მოკვლისა და დამნაშავეს-კი სასჯელი გადაუწყვიტონ შეიარაღებულის ქურდობისათვის?

ბრალმდებლის ამხანაგი ნაწყენი დარჩა და ისიც გვერდზედ გამობრუნდა.

— ბატონებო, ბატონებო, რა დროს პრინციპებზედ ლაპარაკია, როდესაც უმზერთ ამ დიადს სიკეკლუცეს ბუნებისასაო,—სთქვა ახლად მოსულმა მოგზაურმა, რომელსაც არავინ იცოდა რად ეხურა ინგლისური მწვანე ლეჩაქიანი ქუდი. როგორც ეტყობოდა, ზღვის ტანჯვას შესამჩნევად ემოქმედა ამაზედ.

— შეხეთ, შეხეთ, ზღვა რას სჩადის?!. წამოიძახა მოსკოველმა ვაჭარმა.

ზღვა მართლა აღარა ხუმრობდა, იგი ღრიალით გადმოიქნევდა ხოლმე ტალღას კიდისაკენ, ისვროდა უზარმაზარს ქვებს, და წუნწკლები მაღლა ცაში ადიოდ-ჩამოდიოდა. ადგილობრივმა მეთევზეებმა გამოასწრეს თავიანთი ნავები და მაგრად დააბეს ნაპირზედ. ბავშვები აღარა კენჭაობდნენ ზღვის ნაპირას. მზე შავს ღრუბლებს მიეფარა. ცა უფრო და უფრო იღუშებოდა და ბნელდებოდა.

— წავიდეთ სახლშიო, სთქვა ადმირალმა, ჩაი მაინც დავლიოთ!.. რას უნდა მოვუცადოთ, დღეს ხომ მაინც გემი არ იქნება.

— ნუ წავალთ, დავიცადოთ ცოტა კიდევ,-უთხრა ცოლმა.

— რა არის, შენ კიდევ გელანდება რამე?.. ბატონებო, რომ იცოდეთ, ეს ჩემი წინასწარმეტყველია; ტყუილად-კი არ არის მეზღვაოსნეს ცოლი!..

— ტყუილად ნუ გადასც-გადმოსცემ ხოლმე, კოლია, მე შენ გეუბნები. არც ესა, არც ის, ადრეა ჯერა და იმისთვის ვამობ დავიცადოთ-მეთქი. ვისეირნოთ პატარა ხანს, ეგება მართლა გემიც რამე მოვიდეს...

— ვერ შევნატრებ იმის ასეთ უბედურ დროში მოსვლას!.. შენიშნა ადმირალმა: დედავ, დედავ, რა დაწყევლილი ხალხია ეს ინჟენერები, აბა შეხედეთ ამ კიდეს რა ამოყვანილია, შეხეთ ერთი და, ტალღები ორივე მხრიდგან ეხეთქება და მაგის შუაგულში კი ვერაფერი გემიც ვერ მიდის ხეირიანად. ზღვიდგან შემოისვრის წყალი, ახლა კიდედგან ისევ უკან გარბის!.. ყოველწლივ-კი შეკეთება სჭირდება. ზღვა გადარეცხავს ხოლმე და კიდეები-კი სქელდება. ღმერთს გეფიცებით, რომ შემეძლოს, ყველა კიდეების შემკეთებლებს გემზედ ჩამოვაკონწიალებდი როგორც თხებსა.

— ნეტაი ჩამორჩობამდე სხვა უარესი სასჯელი არა მიგეყენებინა რა შენ იმათთვის, თორემ სხვას ვინა სჩივის, უთხრა ანნა პეტროვნამ, რომელიც ამ გვარ მოსაზრებას არ აპატიებდა ხოლმე ქმარსა, როგორადაც იაპონიურ ჯვრის წერის შემოღების სურვილსა და ნატვრას.

— რა არის მერმე, ცუდს ვიზამდი!..

— შეხედეთ, შეხედეთ, გემი მოდის!.. წამოიძახა ვიღამაც.

მართლაც ამ დროს შორს გამოჩნდა გემი, მაგრამ მთების ოდენა ტალღებმა ისევე დაჰმალეს იგი. ადმირალმა მოიმარჯვა თავისთან განუყრელი დურბინდი.

— აქ დახე-და.... დიდია... ვგონებ „გიორგი“ უნდა იყოს. რად არის ეგ მანდა, მაგას სხვა გზით უნდა გაევლო....

— იქნება „ავარიაა“?.. სთქვა ახალ გაჰხდა ლეიტენანტმა, რომელიც ისე უცებ გაჩნდა აქა, თითქო მიწიდგან ამოძვრაო ამ გაჭირვებულ დროს.

— დახე იმასა და!... წამოიძახა ადმირალმა და თანაც დურბინდს არ აშორებდა თვალებიდგან..

— ვგონებ წივილ-კივილი ისმის. აგერ, ჰყვირიან!.. შიშით წამოიძახა ანნა პეტროვნამ.

— ყვირილი-კი არა და? უპასუხა ბრალმდებლის ამხანაგმა, ისე ჰღრიალებს ზღვა, რომ ზარბაზნის ხმაც არ მოვა ჩვენამდინ, არამც თუ მგზავრთა წივილ-კივილი...

— არა, არა, სწორედ ჰყვირიან, აგერ, აგერ... კოლია, რა დაგემართა!... იქ უბედურება დატრიალდება, შველა უნდა, რას გაქვავებულხარ?...

ერთ წამს კი შედგა ადმირალი და მერე უცებ მიირბინა ზღვის პირას ახლო და დაიძახა:

— აბა, ჩქარა ნავები!..

რამდენიმე მეზღვაოსნე დაჯდა ნავზედ და საცოდავი ნაჭუჭი შეუდგა გემის განთავისუფლების გზას.

— ღმერთო ჩემო, ნეტა რა მოხდება, იძახოდა ხალხი!.. ცოდვა, ცოდვა დატრიალდება რამე...

აქაურები იდგნენ დინჯად და ისე არ მღელვარებდნენ, როგორც ეს ნასწავლი ბატონები.

— რა, კარგია განა?, ბატონო, უთხრა ერთმა დაგლეჯილ ჩოხიანმა ვიღაცა მილიციის პრაპორშჩიკსა.

— „წყალი გიშერიო“, უპასუხა იმან.

ნავმა ადგილამდე ვერ მიაღწია, გადატრიალდა და თავად მეზღვაოსნენი რის გაჭირებითა და ვაი ვაგლახით გამოცურდნენ ნაპირზედ. ადმირალი დადიოდა ნაპირას და ილანძღებოდა, ანნა პეტროვნა ლოცულობდა და ცრემლად იღვრებოდა; იმისი და-კი გულ წასული მისვენებულიყო მიწაზედ. დანარჩენი ხალხიც მღელვარებდა; მარტო ერთი ბრალმდებლის ამხანაგი, როგორც მნახველი „მრავალის დანაშაულისა“, გულ-მაგრობდა და სცდილობდა გაეღიმა კიდეც.

— რისთვის, რისთვის უნდა დაიღუპნონ ნეტავი?!.. გაიძახოდა ადმირალი.

ვასო ბიბილაშვილი

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან. მეფისა. ირაკლი. მეორისამან. მეფემან. სრულიად. ქართლისა. კახეთისა. და. სხვათა. მეათსამეტმან. გიორგიმ. და. თანა. მემცხედრემან. ჩვენმან. ბატონის. ციცის. შვილის. ასულმა. დედოფალმა. პატრონმა. მარიამ. პირმშომან. და. სასურველმან. ძემან. ჩვენმან. საქართველოს. უფლის. წულმან. დავით. იოანემ. პანკრატ. თეიმურაზ. მიხაილ. ჯიბრაილ. ილიამ. ოქროპირმან. და. ირაკლიმ. და. ძის ძემან. ჩვენმან. გრიგორიმ. (აქ ჩამოთვლილია სახელები, ვისაც ეს „წყალობის წიგნი და სიგელი“ შეეხება)... გიბოძეთ. აზატობა. და. გაგათარხნეთ. ასე. რომ. რომელიც. ქიზიყს. საჩვენო. ანუ. საქვეყნო. სათხოვარი. და. ან. სხვა. რამ. გამოსაღები. შესწერდებოდეს. ან ბეგარა. ან ტიკი. ან ტომარა. ან სამასპინძლო. ან სხვა. რამ. სათხოვარი. შენ. არაფრისთანა. არა. გეთხოვებოდეს რა. ყოველისფრით. ასე. გაგვიაზატებიხარ. და. გაგვითარხნებიხარ. ერთის. ლაშქარ. ნადირობის. და. კარზედ. სამსახურის. მეტი. შენა. და. სახლისა. შენისა. მომავალთა. არა. ეთხოვებოდესთ რა. გქონდეს. და. გებედნიეროს. და. ჩვენსა. ერთდგულობასა. და. სამსახურსა. შინა. მოგეხმაროს. და. არაოდეს. არ. მოგეშალოს. ჩვენგან. და. არცა. შემდგომთა. ჩვენთა. მეფეთა. და. მეპატრონეთაგან... აღიწერა. ხელთა. კარისა. ჩვენისა. მდივნის. ფალავანდისშვილის. ელიაზარისათა. თვესა ოქტომბერსა. ვ. ქკს. უპზ.“

ამ სიგელს აზის ბეჭდები: მეფე გიორგისა, დედოფლის მარიამისა, დავითისა და გრიგორისა.

ეს სიგელი ამის პატრონს რამაზ სოლომონის ძე მენთეშაშვილს წარუდგენია საქართველოს მმართველის კავალევსკისათვის 1802 წელს, რომელსაც გადაუღია კოპიო ამ სიგელისა და მოუწერია ბრძანება „ქიზიყის მოურავ, ნაცვალ და ასისთავისათვის“, რათა რამაზისა და იმის სახლის მომავალთაა რაფრისთანა გარდასახადი არა ეთხოვებოდეს-რა იმ დრომდის, ვიდრე ეს სიგელი მთავრობისაგან დამტკიცდებოდეს.

მეორე ამისთანავე „სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი თარხნობისა და აზატობის „წიგნი და სიგელი“, რომელიც მე ეხლა ხელთა მაქვს, არის ნაბოძები მეფეთ-მეფის და თვით ხელმწიფის ნაზარალიხანის მიერ; ამ სიგელით „ქისიყელი ალადაშვილი“ და „მომავალთა სახლისა“ მათისათა ეძლევათ „გათარხნება და გააზატება“, „რომ არაფერისთანა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არ გეთხოვებოდესთრა: „არა: კოდის პური: არა საბალახე: არა ნახირის თავი: არა პიირისი თავი: არა საური: არა ულუფა: არა ყოშლული: არა ხარი: არა ურემი: არა საბაზიერო: არაფრისთანა საჩვენო წვრიმალი: გამოსაღები და სათხოვარი: არაფრისთანა არა გეთხოვებოდესთ რა: თვინიერ ერთის ლაშქარნადირობის მეტი და კარზე სამსახურის მეტი: გქონდესთ: და: გიბედნიეროს: ღმერთმან; ჩვენს ერთგულად. სამსახურს: შინა: არაოდეს არ მოგეშალოს: არ ჩვენგან: და არც შემდგომთ სხვათ მეფეთა და მეპატრონეთაგან; აწე: გიბძანებ: კარის: ჩვენის: ვექილ: ვეზირნო: და: ქისიყის: მოურაო: ნაცვალ: და: ასისთაო: ეს: ჩვენი: ბძანება: და: ნიშანი: თქვენც: ასე: გაუთავეთ: და: ნუ: მოუშლით: რარიგათაც: ამ: ჩვენგან: ნაწყალობევს: ფარვანს: შიგან: ეწეროს: აპრილის: გ: ქკს: ტ̃პა: ხელითა: კარისა: ჩვენისა: მწიგნობრისა: თუმანის: შვილის: შიჰშისათა“: ამ სიგელს აზის ბეჭედი მეფე ნაზარალი ხანისა.

ამავ ქიზიყელ ალადაშვილთა საგვარეულოს აქვს სიგელი, რომელშიაც, სხვათა შორის. სწერია:...„მეფეთ: მეფემ: და: თვით: ხელმწიფემან: და: პატრონმან: მაჰმად: ფაჰშამან: და: თანა: მემცხედრემან: ჩვენმან: დედოფალთ: დედოფაჰლმან: პატრონმან: ფერიჯან: ბეკუმ: და: სასურველმან: ძმამან: ჩვენმან: ბატონის შვილმან: პატრონმან: თეიმურაზ: და ძმის: წულმან: ჩვენმან: ალიმირზამ: ერეკლემ და დავით“: ...„გიბოძეთ: ამოწყვეტილის: შავთვალის: შვილის: სეხნიას: და: ბერუკას: ნაქონი: მამული: სახლ-კარითა: ქვევრ-მარნითა: ველითა: ვენახითა: სახნავ-სათესითა: წყლითა: წისქვილითა: შესავლითა: გასავლითა: მთითა: ბარითა: ყოვლის: მისის: სამართლიანის: საქმით: გვიბოძებია: ყოვლის: კაცის უცილებლად...“ დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე მაისის: იზ: ქკს. უიზ: ხელითა მდივნის ზურაბისათა“ — ამ სიგელს აზის ბეჭედი მეფე მაჰმად ფაჰშასი და სხვათაც. ერთ ერთ გვერდზე შემდეგი წარწერა აქვს: „ქ: ჩვენ: საქართველოს: მეფის: თეიმურაზის: ძე: მეფე: ერეკლე: ვამტკიცებთ: წიგნსა: ამას: რაგვარადაც: ბატონს: ბიძას: ჩვენს: წყალობა: უქნია: სეხნიას და ბერუკას: შავთვალას: შვილის: ბეითალმანი: ჩვენც: ამ: რიგათ: გვიწყალობებია..... ინდიკტიონსა: მეფობასა: ჩვენისასა: წელსა: მეშვიდესა: თვესა: მაისსა (კვ) ქკს: უზ:“ მეფე ერეკლეს ბეჭედი აზის.

ე. მ—შვილი

## რუსეთი

დედათა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტისათვის საშუალებათა მომძიებელის საზოგადოებას განუზრახავს ყურის მგდებელ სტუდენტ ქალთათვის საცხოვრებელი სახლი ააშენოს, ბავშვების საავადმყოფო გამართოს, სამშობიარო თავშესაფარი დააარსოს და თვალის ავადმყოფობათათვისა და გიმნასტიკისათვის ცალკე შენობა ააგოს. მაგრამ ის თანხა, რომელიც ამ ჟამად საზოგადოებას ხელთა აქვს, ყველა ამისათვის სამყოფი არ არის. საქმის საკეთილოდ წარმართვა დამოკიდებულია მთელის რუსეთის იმპერიის დედათა თანაგრძნობასა და დახმარებაზედ, რომელნიც, ეჭვი არ არის, არასფერს არ დაიშურებენ, რომ სახელმწიფოში დედათა განათლების საქმე წინ წავიდეს და საზოგადო მოღვაწეობისათვის გზა გაეხსნათ, ასპარეზი მოიპოვონ.

— კერძო სავაჭრო სკოლა, რომლის ნება-რთვაც უკვე მიიღო ა. ი. იანსონმა, 20 აგვისტოს გაიხსნება პეტერბურგში. სკოლა ფინანსთ სამინისტროს სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის გამგეობის ქვეშ იქმნება.

— აგვისტოს დამლევს ს. პეტერბურგში თევზის მრეწველთა და თევზის მოვაჭრეთა კრება იქმნება გამართული. კრება განიხილავს იმ საგანს, თუ რა საშუალებანი უნდა იხმაროს, რომ რუსეთში თევზის მრეწველობის საქმე გააუმჯობესოს.

— თანახმად მარილის მრეწველთა შუამდგომლობისა, სამეურნეო სამინისტროს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში პეტერბურგში რუსეთის მარილის მრეწველობის წარმომადგენელთა კრება მოახდინოს. კრება განიხილავს, თუ მარილის მრეწველთა უმთავრეს საჭიროებას რა შეადგენს და ეცდება, რომ სხვა-და სხვა ადგილის ნაწარმოებთა შორის კონკურენცია შეძლებისამებრ გათანასწორებულ იქმნას.

— „კალუგის მოამბის“ გამოცემა დროებით შეწყვეტილ იქმნა. მიზეზი ის არის, რომ გაზეთმა ხარჯს ვერ გაუძლო. გამომცემელს იმედი აქვს ოქტომბერში ისევ გამოსცეს გაზეთი.

— როგორც „ვარშავის კურიერი“ სწერს, ვარშავაში ჩინეთის საკონსულოს დაარსების პროექტი მალე შესრულებულ იქმნება.

— ქალაქის ექიმთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით, შესაძლებელია და დიდად სასარგებლო, რომ ქალაქის ექიმები ქალაქის პოლიციის შტატში იქმნენ ჩარიცხულნი და ისეთივე ჯამაგირი მიეცეთ, რა ჯამაგირსაც მაზრის ექიმები იღებენ. ამ შემთხვევაში ქალაქის ექიმებს მიენდობათ, როგორც ქალაქის სასანიტარო ნაწილი, ისე სამკურნალო-სასამართლოსი და სამკურნალო პოლიციის თანამდებობანი, ე. ი. ყველა ის თანამდებობა, რასაც მაზრის ექიმები დღეს ასრულებენ. ამ საგნის განხილვასა და გარდაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეუდგება სამინისტრო, როდესაც ქალაქის გამგეობანი თავისს აზრს აცნობებენ, თუ რამდენს ჯამაგირს დაუნიშნავენ ქალაქის პოლიციის ექიმებს.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** გაზ. „Morning Post“ იუწყება, რომ კონსტანტინეპოლში საგანგებო კომიასია შესდგა სულთანის თავმჯდომარეობით, რომელიც ოსმალეთის ფლოტის განკარგება-გაუმჯობესობის საქმეს შეუდგებაო. როგორც უკანასკნელმა ომმა დაამტკიცა, ოსმალეთის ფლოტი სრულიად გამოუსადეგარი და უვარგისი გამოდგა, სულთანმა მაშინვე განიზრახა ამ ნაკლის შევსება და ეხლა უკვე შეუდგა თავისის სურვილის განხორციელებასაო.

**რუსეთი და იაპონია.** გაზ. „Berliner Tageblatt“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს, რომ იმ გარემოებას, რომ რუსეთი მოწადინებულია ბალკანეთის კუნძულზედ რაც შეიძლება მალე მშვიდობიანობა დაამყაროს, დიდი კავშირი და დამოკიდებულება აქვს შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკასთან. თუმცა იაპონია ეხლა გაჩუმებულია, მაგრამ პეტერბურგში მაინც იმ აზრისანი არიან, რომ იგი ეცდება მარჯვე შემთხვევის დროს რუსეთს რაიმე ხრიკები გამოუდოსო. ეს მარჯვე შემთხვევა-კი მაშინ იქმნება, როდესაც რუსეთი ბალკანეთის საქმეში ჩაერევა და შორეულ აღმოსავლეთისთვის ველარ მოიცლის. კორესპონდენტის აზრით, იაპონია დღეცა და ღამეც თავისის ჯარისა და ფლოტის განკარგება-გაუმჯობესობის ფიქრშია, ასე რომ რამდენისამე წლის შემდეგ, როდესაც ინგლისში შეკვეთილი გემები მზად იქმნება, იაპონიის ფლოტი რუსეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ფლოტებს არ ჩამოუვარდება. იაპონიასთან ომი რომ მოუხდეს რუსეთს, იგი იძულებული იქმნება შავისა და ბალტიის ზღვების ფლოტები დიდს ოკეანეში გაუიყვანოს. უამისოდ იაპონიას ვერ გაუმკლავდეაო. რაც შეეხება იაპონიის მთავრობას, იგი, კორესპოდენტის სიტყვით, გამბედავისა და ჭკვიანის კაცებისაგან შესდგება. ყველა ერდგულად ემსახურება სამშობლოს და მოწადინებულია თავისი სახელმწიფო გააძლიეროს და პროგრესის გზაზედ დააყენოს.

**ისპანია.** გუშინ-წინ დეპეშამ ისპანიის მინისტრ-პრეზიდენტის კანავასის მოკვლის ამბავი მოიტანა. ეს გარემოება ერთი ორად და სამად უფრო ასწეწ-დასწეწავს უიმისოდაც ისპანიის არეულს საქმეებს. როგორც წინადაც არა ერთხელ და ორჯელა გვქონდა მოხსენებული, ისპანია ამ ჟამად მეტად დიდ განსაცდელშია. ისე დღე არ გაივლის, რომ ისპანიაში არეულობა, პოლიციისა და ხალხის შორის შეტაკება და სხვა ამგვარი უწესოება არ მოხდეს. მთავრობას ძალა აღარ შესწევს გაუმკლავდეს ყველას და სახელმწიფოში მშვიდობიანობა დაამყაროს. მთავრობის ყურადღება ცალკე ახალშენებზედაა — კუბასა და ფილიპეს კუნძულზედ — მიქცეული და ცალკე თვით ისპანიაზედ. ახალ-შენებში-მეამბოხეთა და თვით ისპანიაში კიდევ სხვა-და-სხვა პოლიტიკური დასებისა და ანარხისტების დამშვიდებასა და დაწყნარებას აღარაფერი ეშველა.

## დამაკვირდი

ყოველს საათს მოელის საფრთხე ადამიანთ ადამიანთაგანვე.

სენეკა

***

სიკვდილი მწუხარებაა, გადაწყვიტეს ღმერთებმა; ასე რომ არ იყოს, ხომ არც უკვდავთა სახელს დაარქმევდნენ.

საფოს ლექსიკ.

***

ნელ-ნელა ნედლი შეშაც აინთება ხოლმე.

რუსული ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მარტო ივლისის განმავლობაში პრუსიაში სიკვდილით დასაჯეს სამი დამნაშავე. რაც გნებავთ ბრძანეთ და ეს ამბავი სრულებით არა ჰმოწმობს, რომ ეხლანდელ დროში კაცთ-მოყვარეობა სუფევდეს. ეს ამბავი ამტკიცებს მხოლოდ, რომ ჯერ ძლიერ შორს არის ის დრო, როდესაც სარჩობელა მხოლოდ საარქეოლოგიო მუზეუმში იქმნება.

უკანასკნელი დასჯა სიკვდილითა ბერლინის ერთს საპატიმროში მოხდა. ერთის დღის წინად გაეგზავნათ მოსაწვევი ბარათები ბერლინის დიდ-კაცობას. ამ წარმოდგენაზედ მიწვეული იყო სამოცი კაცი. მეორე დღეს დილა ადრიანად მშვენიერი ეტლები მიეშურებოდნენ საპატიმროსაკენ. ბერლინის არისტოკრატიამ უარი არა სთქვა უფასო წარმოდგენის დასწრებაზედ.

რად გაეგზავნა დიდ-კაცობას მისაწვევი ბარათები და რად დაესწრო იგი სიკვდილით დასჯას, ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. თუ სიკვდილით დასჯა მხოლოდ იმიტომა ჰხდება, რომ სხვებიც შევაშინოთო, მაშ უკეთესი იქმნებოდა დიდ-კაცობის მაგიერად სამოცი ავაზაკი მიეწვიათ...

დიდ-კაცობამ რომ თავი მოიყარა საპატიმროში, აიხადა ფარდა... ე. ი. მოიყვანეს სიკვდილით დასასჯელი. დამნაშავემ შიშით დაათვალიერა სცენა: საპატიმროს ეზო, ზემოდ იდუმალი ზეცა, თვალ-წინ სარჩობელა და მის გარშემო კეთილშობილთა კრებული. ასეთს დიდ-კაცობაში დამნაშავე ჯერ თავის დღეში არა ყოფილა.

წარმოდგენამ დიდ ხანს არ გასტანა: პროკურორმა წაიკითხა განაჩენი და ერთის წუთის შემდეგ დამნაშავე გამოასალმეს წუთისოფელს. მომქმედნი პირნი და მაყურებელნი დაიშალნენ: ერთს მხარეს წაიღეს დასჯილის გვამი, მეორე მხარეს გასწია დიდკაცობამ საკუთარის ეტლებით.

ედუარდ ბელამი სწერს, რომ ასის წლის შემდეგ არც სარჩობელა იქნება სადმე და არც საპატიმროო. „დამნაშავეთ, ვითარცა ავადმყოფთ სამკურნალოში უწამლებენო“. ამ აზრისა არ არის გერმანელი ნიჭიერი მწერალი მიხეილ კონრადი, რომელმაც ახალი რომანი დასწერა, სახელად ს ი ს ხ ლ ი ს ფ ე რ ი ბ ი ნ დ ი“.

რომანი ბერლინის წიგნის მაღაზიებში იყიდება. ამ წიგნში მოყვანილია მიხეილ კონრადის აზრი შესახებ იმისა, როგორ იცხოვრებს ხალხი მომავალში. ახალგაზდა მწერალის აზრით, ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე დედამიწაზედ სამოთხე დამყარდებოდეს. მრავალი საუკუნე გაივლის, ვიდრე კაცობრიობა გასცილდება იმ აურზაურსა გარყვნილობას და ყოველგვარ სისაძაგლეს, რომელიც მეოცე საუკუნეში მოელის. სოციალისტები და ანარქისტები ვერაფერს გახდებიან. ასტყდება სასტიკი ბრძოლა ყველა წოდებათა შორის. ხალხი შიშით ველარ გამოვა ქუჩაში. პოეტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ყველას შესძულდება; დევნას და ხოცვას დაუწყებს. ფილოსოფოსნი და მეცნიერნი შიმშილით ამოწყდებიან. გაძლიერდება ლოთობა, თამბაქოს წევა, გარყვნილობა, სიგიჟე და ათას გვარი ავადმყოფობა. ოჯახი გაიხრწნება. მთელს ევროპაში ძლიერ გამრავლდება საპატიმროები და სამკურნალოები. ამერიკა დაიპყრობს აღმოსავლეთ აზიას და ჩინელები თავს დაეცემიან ევროპას მილიონობით. ევროპა ვერ შემაგრებს აზღვავებულს ჩინეთს. ასტყდება სასტიკი ომი და ბრძოლა ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის. ასეთი ომი ჯერ არასოდეს არა ყოფილა. ბრძოლა მხოლოდ მაშინ გათავდება, როდესაც ცხრა მეათედი ეხლანდელის კაცობრიობისა ამოწყდება. ცოცხლად დარჩენილთა შორის გავრცელდება საშინელი ჭირი და ჟამი.

ასეთი ბოლო მოელის კონრადის აზრით ეხლანდელს ევროპას. ასე გათავდება ეს ტრაგედია, რომელიც ჯერ არ უნახავს და არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. „სისხლის ფერი ბინდი“ ეს გახლავთ სახელი იმ საუკუნისა, რომელიც ეხლა უნდა დადგეს. მშვიდობიანისა და წყნარის ცხოვრების მაგიერ ჩვენა და ჩვენს შვილებს დიდი უბედურება და განსაცდელი მოელის.

ასეთია შინაარსი კონრადის წიგნისა. შეგიძლიანთ დაეთანხმოთ ამ აზრს, შეგიძლიანთ უარ-ჰყოთ იგი, მაგრამ ის-კი უტყუარია, რომ ევროპა ისე ძლიერ ჯერ არა ყოფილა შეიარაღებული, როგორც ეხლაა. ჯერ აქამდე ისე არა ყოფილა გამწვავებული ბრძოლა სხვა-და-სხვა წოდებათა შორის, არ გამრავლებულა ავაზაკობა, გარყვნილობა და თავის მოკვლა, როგორც ამ ჟამად არის და ვინ იცის, ბოლო მოეღება ამ არა სასიამოვნო ამბავს, თუ თან-და-თან გაძლიერდება იგი და მართლა დაიღუპება ეხლანდელი წეს-წყობილება მთელის ევროპისა...

## ახალი წიგნი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი წიგნი „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ. ხსენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი გაგრძელებაა 1893 წელს ამავე სათაურით გამოცემულის შრომისა და შესდგება ორის ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მოთავსებულია პირველის ტომის „დამატებანი“, ანუ „საისტორიო და სამწერლობო მასალა უძველესის დროისა მე-XIII საუკუნემდის“ და „ძეგლი ერისთავთა“, რომელშიაც აწერილია ისტორიული ამბები მთიულეთისა, მეექვსე საუკუნიდგან დაწყებული. ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს — „ქრონიკას“, თამარ მეფის სიკვდილიდგან დაწყებული მე-XVII საუკუნის დასასრულამდე, შეკრებილი და განმარტებული ავტორის მიერ. ბოლოში წიგნს დართული აქვს „რამდენიმე უდიდებულესთა ქართველთა გვარების გვაროვნებითი შტოები“ ანუ გენეოლოგია. აქ მოკლედ და განუმარტებლად შეტანილია გენეოლოგია მუხრან-ბატონებისა, არაგვის ერისთავთა და ქართლის აბაშიძეთა გვაროვნების შტოებისა, ხოლო შემდეგ შრომაში ბ-ნი ჟორდანია გვპირდება განმარტებულ გენეოლოგიას, როგორც აქ მოხსენებულ, აგრეთვე ჩვენის სხვა თავადების გვაროვნებისასაცა.

წიგნი მეტად სუფთად და ლაზათიანად არის გამოცემული, იმავე ფორმატისა, როგორიც პირველი ტომი იყო, და შეიცავს, მოკლე წინასიტყვაობის გარდა, 536 გვერდს. ეს მეორე ნაწილი გამოცემულია თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის საფასით და ჰღირს 3 მან. გარდა ამ ორი ტომისა, როგორც წინა-სიტყვაობიდგანა სჩანს, ჩვენს დაუღალავს ისტორიკოსს აზრადა აქვს მესამე წიგნიც გამოსცეს, რომელშიაც მოთავსებული იქმნება ის საისტორიო სიგელ-გუჯრები და სხვა საბუთები მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრიდგან დაწყებული, რომელნიც უკვე გამოცემულ წიგნებში არ შესულან. ავტორს აზრად აქვს მესამე ტომში „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის კრიტიკულად განხილვა და იმ საბუთების გამოძებნა და გამოჩინება, რომელთაგანაც შედგენილია ეს ნაწილი ჩვენის მატიანისა. ამავე შრომაში ბ-ნი ჟორდანია გვპირდება „ახალს ისტორიულს წყაროებს, რომელნიც ქრონოლოგიურს რიგს ჩვენის ქრონიკისას ვერ ეთავსებიანო“.

სწორედ დიდის მადლობისა და პატივისცემის ღირსია ბ-ნი თ. ჟორდანია, რომ ასე გულ მოდგინედ და დაუღალავად შეუდგა ჩვენის ისტორიის აქა-იქ გაფანტულის მასალისა და სიგელ-გუჯრების შეკრებას, მათის ქრონოლოგიურად დალაგებას, ახსნა-განმარტებას და ცალკე წიგნად გამოცემას. დროთა ვითარებამ და ულმობელმა ხელმა მრავალი მასალა და საბუთი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა გაანადგურა და წაჰბილწა და უთუოდ ეგევე მოელის დანარჩენსაც, თუ რომ დროით არ იქმნება იგი შეკრებილი და განხილულ განმარტებული. სწორედ ამ საგანს ემსახურება ბ-ნი ჟორდანია და ვიმეორებთ, დიდის მადლობის ღირსია იგი ასეთის დაუღალავის შრომისათვის.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ივლისი.

**პეტერბურგი.** 28 ივლისს, საღამოთი, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დაესწრნენ სადღესასწაულო წარმოდგენას ოლგას კუნძულზედ. მათის შებრძანების დროს თეატრში ორკესტრმა დაუკრა გერმანიის ჰიმნი. შემდეგ დაიწყო ბალეტი „თიტილა და პელეი“. წარმოდგენის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ცარიცინის კუნძულზედ წაბრძანდნენ.

29 ივლისს, დილის 10 საათზედ, ხელმწიფე და გერმანიის იმპერატორი კრასნოე სელოში მობრძანდნენ. გატჩინოს გზა-ტკეცილის მესამე ვერსზედ გამწკრივებული იყო ვიბორგის რაზმი იმპერატორის ვილჰელმისა. მობრძანდნენ რა იმპერატორები და მოისმინეს მოხსენება რაზმისა, შემოუარეს მოწინავე ჯარს. ჯარი „ურას“ იძახდა და მუსიკა გერმანიის საერო ჰიმნს უკრავდა. ვარჯიშობის შემდეგ გერმანიის იმპერატორმა ჯარს რუსულად გადუხადა მადლობა „გმადლობთ, ძმებო“, და აფიცრებს უთხრა „გმადლობთ, ბატონებო“. ვარჯიშობა დასრულდა იერიშით. ამის შემდეგ რაზმმა ხელმწიფის წინ საცერემონიო მარშით გაიარა, რაზმს წინ მიუძღვოდა იმპერატორი ვილჰელმი. მარშის შემდეგ უავგუსტოესმა გენერალ ინსპექტორმა კავალერიისამ მოიყვანა ვარჯიშობის ალაგზედ ვიბორგის რაზმის საკავალერიო კორპუსი. რაზმებმა სალამი მისცეს იმპერატორებს და მუსიკამ გერმანიის საერო ჰიმნი დაუკრა. იმპერატორებმა ჯერ საკავალერიო რაზმს შემოუარეს, მერე, ცოტა ხანს შემდეგ, წაბრძანდნენ ბანაკის ეკკლესიისაკენ და იქიდგან უყურებდნენ ვარჯიშობას. ვარჯიშობის შემდეგ გაიმართა საუზმე.

ნაშუადღევის მესამე საათზედ იმპერატორები პეტერგოფს წაბრძანდნენ.

30 ივლისი.

**მოსკოვი.** მოსკოვის ქალაქის საბჭომ თავისს საგანგებო კრებაზედ დაადგინა: გაჰგზავნოს პეტერბურგს დეპუტაცია, რომელსაც ქალაქის თავი და შვიდი ხმოსანი შეადგენენ, რომ მოსკოვის სახელით საფრანგეთის პრეზიდენტს სალამი მიუძღვნას.

**ეკატერინოსლავი.** 29 ივლისს, ნაშუადღევის ორ საათზედ, ქალაქის ბაღში „ინგლისურის კლუბის“ საზაფხულო შენობა სულ მთლად დაიწვა. ცეცხლი ყავის მოხარშვის დროს გაუჩნდა ბენზინის სახარშავიდგან. ალმა შენობა უცბად დაჰფარა. კლუბში მყოფნი და მოსამსახურენი ძლივს გადარჩნენ.

**მოგილევი.** 28 ივლისს, საშინელის ქარისა გამო მსტისლავში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 200 სახლი, დუქნები, ურიების თორა, ორი გამომძიებლის სამსჯავრო ოთახი, ექვსი სამლოცველო სკოლა. დანარჩენი სახელმწიფო დაწესებულებათა სახლები გადარჩა. დასახმარებლად საგანგებო მოხელე იქმნა გაგზავნილი.

**კონსტანტინეპოლი.** ბოლგარიის მთავარი და მთავრინა კონსტანტინოპოლში სულთანმა მიიწვია. სულთანის სასახლეში მიღების დროს მთავარმა და ამალამ სულთანს ხელზედ აკოცეს.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | " — | — " | — " |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — " | — " | 205 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — " | — " | $100^5/_8$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | $102^1/_2$ | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_4$ | — " | — " |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | $102^1/_2$ | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_4$ | — " | — " |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99^1/_2$ | — " | — " |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — " | — " | 285 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $245^1/_2$ | — " | — " |

### წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ ბესარიონ ვას. კალანდაძეს და ლ. გოგიბერიძეს, რომლებმაც შემოსწირეს ხიდისთავის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, პირველმა შემდეგი წიგნები: „Законы о опекѣ и попечительствѣ“, ჯაბა ჯაიანი გვაზავასი, ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები, მოკლე ფორმალური ლოღიკა გ. იოსელიანისა, „მშვენიერი ელენე“ თარ. ერისთავისა, „შენდობა“ დრ. ნიკიტინისა, „დავითის გვირგვინი“ აკაკისა, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ნინოშვილ სა, „სკოლა, ოჯახი და ამხანაგები“ თარ. ბ—ძის, „დახასიათებანი“ ინ-კანისა, „ინსტიქტი“ თარ. ფანცხავასი, „Не такъ живи, какъ хочется“ Островскаго, „ბუნების საოცარი და მრისხანე მოვლენანი“ თარ. ჯუღელისა, „სად არის შველა“ თარ. მასხულიასი, „ვიქტორ იუგოს ოთხმოცდა ცამეტიდამ“, „როგორ სცხოვრობდნენ ადამიანები ძველად“ თარ. ქვიცარიძისა, „Сношенія Россіи съ Кавказомъ въ XVI и XVIII ст.“ рѣчь проф. Цагарели, „ლექსთა კრება“ ი. დოლმაზაშვილისა, „ყვითელი სანთელი“ აკაკისა, „შენდობა“ თარ ნიკიტინისა, „ამბავი ჩინეთის ხელმწიფისა“ თარ. ტატიშვილისა, „სამი მსხვერპლი“ დარ. ჯავახიშვილისა და ფულად 50 კაპ. მეორემ: „Барсова кожа“ пер. Сталинскаго, „Скупой рыцарь“ Пушкина, „Полтава“ Пушкина, „Драматическія произв.“, Пушкина, „Король Лиръ“ Шекспира, „Капитанская дочка“ Пушкина, Евгеній Онѣгинь“ его же, „Ревизоръ“ Гоголя, „ნაპერწკალი“ ქუჯისა, „პირველი ტალღები“ დუტუ მეგრელისა, „Антигона Софокла“. აგრეთვე დიდს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს იოსებ ლეჟავას, რომელმაც შემოსწირა: ათი პატარა წიგნაკი, გამოცემა უდაბურ წყალ-წმიდის ძმობისა. იმედია სხვებსაც გავახსენდებით და მოგვაწვდიან რამე შემდეგის ადრესით: Въ м. Чохатаури—Хидистави, Хидиставской безплатной библіотекѣ.

ხიდისთავის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე პოლიევქტო კალანდაძე


## განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მახაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

**„კრებული“**

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვამლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ ხაქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში:** «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურქუაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.

**ქუთაისში:** ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

**ბათომში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ფოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ ნ ნინო ბერექიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

**ოზურგეთში:** კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

**ლანჩხუთში** — „შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.

**საჩილაოში** — „შუამავალში“.

**საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან.

**ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან.

**ყვირილაში** (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.

**ზუგდიდში:** კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

**სენაკში:** ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ონში:** თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.

**კავკავში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

**ხონში:** ივანე შარაშიძესთან.

**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

**ახალციხეში:** გრიგოლ ბურჭულაძესთან.

**ახალქალაქში:** ილია ალხაზიშვილთან.

**ხაშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

**მოლითში:** პავლე გურცხალიასთან.

**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

**გუდაუთში** (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

**ალსტაფაში** მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ მოწერილი ბარათები.

(20—18) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი**.

### ი. გოკიელოვის შვილების

## სავაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით.

(10—108—10


Дозволено цензурою Тифлисъ 30-го Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.